



საქართველო

რესპუბლიკა

შანი 10 მან. პარასკევი, დეკემბრის 31 1920 წ.

წინაგონების მომხმე, უფროდღოური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებებით)

საბარტველ ოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტრის სტრუქ. 20 მან. 4-ზე გ. 15 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15-2) 500 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 260 მ. სასამართლო. უწყ. განცხადებ. ანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%, რედაქციის და კანტ მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1-39

სახელმწიფო ოკერა

დილი.

კვირას, 2 იანვარს.

„კომო და კოტა“.

ორშაბათს, 3 იანვარს.

„კომო და კოტა“.

სამშაბათს, 4 იანვარს.

„კვებანი ონაგინი“.

ოთხშაბათს, 5 იანვარს.

„კვებანი ონაგინი“.

შაბათს, 8 იანვარს.

„კოპელაბ“ და „სოროგრაფის ეტიუდი“.

კვირას, 9 იანვარს.

„ფუსტი“ და „ვალანტინის დამე“.

დასაწყისი დილის 12 საათზე.

სალამო.

კვირას 2 იანვარს.

„ლალასი“.

ორშაბათს, 3 იანვარს.

მე 20 სიმფონიური კონცერტი ბორტოვსკისა და ბელაუსოვისა.

სამშაბათს, 4 იანვარს.

„გოზგანის ზღაპრები“.

ოთხშაბათს, 5 იანვარს.

„აბუსალთაი და ეთარი“.

შაბათს, 8 იანვარს მუშებისთვის ოპერა.

„ტოსკა“.

კვირას, 9 იანვარს.

„ქიშელი“ და „სოროგრაფის ეტიუდი“.

სალამოს 8 საათზე.

1011 1-1

ეკონომიკური კავასიური სავაჭრო ბანკი ახით ახსნადგმ.

რომ ბანკის წესდების § 21-ს თანახმად მწ. დეკემბრის 31-ს დილ. 12 საათ. ბანკის შენობაში, რუსთაველის პრ. № 17,

დანიშნული აქციონერით გაუიღვა

ვალა გასული სესხით № 12, 60 აქციის თითო 5000 მან. ღირებულების დროებითი მოწმობის ტფ. ნავთის მწარმოებელ და სავაჭრო აქციონერულ საზ. „პეტროლისა“.

4577.

1-1

ოფიციალური განცხადება.

განცხადებულებანი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

27 დეკემბერი, 1920 წ., № 368.

საზღვარ გარეთიდან დაბრუნების გამო შეუდგვი ჩემი მოვალეობის ასრულებას, ამის გამო განთავისუფლებულია ჩემი მოვალეობის ასრულებისაგან ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი სიმონ ლუკას ძე ავალიანი, რომელსაც ამითვე ევალება შეუდგეს თავის პირდაპირი მოვალეობის ასრულებას.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კანდელაკა.

იუსტიციის მინისტრისა.

24 დეკემბერი, 1920 წ., № 447.

დაინიშნა: მამუკიანის უბნის გამოძიებულის თანამდებობის აღმასრულებელად სამოსამართლო უფლებათა უმცროსი კანდიდატი ნიკოლოზ ბესარიონის ძე გელოვანი ა. წ. დეკემბრის 27-დან.

27 დეკემბერი, 1920 წ., № 448.

დაინიშნა: ქ. ტფილისის მე-5-ე უბნ. გამოძიებულის თანამდებობის აღმასრულებელი ილია გრიგოლის ძე ქიქოძე მე-2 განსაკუთრებულ უბ. გამოძიებულის თანამდებობის აღმასრულებელად ა. წ. დეკემბრის 27-დან. იუსტიციის მინისტრი რ. აბსენიძე.

გარნიზონის უფროსისა.

28 დეკემბერი, 1920 წ., № 10.

31 დეკემბერს ქართველ-სომეხთა ომის გათავების დღეს საქართველოს განთავისუფლები-სა და გაერთიანებისათვის ყველა თავდადებულ ქართველ მხედართა მოსახსენებლად სამხედრო ტაძარში დანიშნულია წირვა და პანაშვილი.

გზამკვლე: ყველა სამხედრო ნაწილებმა, რომელნიც სდგანან ტფილისში გამოიყვანონ თითო ასული უიარაღოთ სამხედრო ტაძარში 11 საათზე.

ყველა ოფიცერმა და სამხედრო მოხელეებმა, რომელნიც თავისუფალნი იქნებიან სამსახურის მოვალეობიდან დაესწონ პანაშვილს.

გარნიზონის უფროსი გენ. მაზნიაშვილი.

სახელმწიფო ბანკის მმართველისა.

27 დეკემბერი, 1920 წ., № 2270.

დაინიშნა: სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილების კონტროლიორის თანაშემწე გრიგოლი გაბრიელის ძე მაჩხანელი ამავე განყოფილების ნაწილის გამგეთ, ა. წ. 1-ლ დეკემბრიდან.

დათხოვნილ იქნეს: სახელმწიფო ბანკის ნაწილის გამგის უფროსი თანაშემწე ევტინი ნიკოლოზის ძე მეტეუკე, თანახმად თავის თხოვნისა, თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, ა. წ. 15 დეკემბრიდან. მმართველი იახ. ლორთქიფანიძე.

არა ოფიციალური განცხადება.

მომარაგების მინისტრის გ. ერადი სიტყვა

დამფუძნებელ კრებაში

(21 დეკემბრის სხდომა).

(დასასრული).

დღევანდელ პირობებში პურის და ხორბ-აქვს ის ღირებდა და მიზიდვებობა, როგორც ლის შექნა არ ხდება ისე იოლად, როგორც ქონდა წარსულში.

წარსულში იყო შესაძლებელი. წარსულში გლეხ-კაცს რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, რომელიც აიძულებდა, რომ აუცილებლად შედმეტი ხორბალი (თუნდაც შედმეტი არ ქონდა) გამოეტანა და გაეყიდა ბაზარზე. ეს იყო, იმიტომ, რომ ერთი-იგი იხდიდა დიდ გადასახადს ფულით. მის ამის საშვალეობა არ ქონდა, თუ ხორბალს არ გაყიდდა.

დღევანდელ პირობებში კი გლეხობა არ არის ჩაყენებული ისეთ მდგომარეობაში, როგორც წარსულში იყო და ეს მოტივი ისე მძლავრად არ მოქმედებს მსზე, როგორც წარსულში. იმიტომ გლეხობას ნაკლებ აინტერესებს გამოიტანოს პური ბაზარზე და გაყილოს.

რევოლიუციამდე, ძველ დროს, გლეხ-კაცობას ყავდა მემამულე-ბატონი, იგი მოვალე იყო მემამულე ან მეექვსედი თვისი შემოსავლისა, ღალა გადაეხადა და რაკი მემამულე ამ ღალას თვითონ არ იხანავდა, მას უნდა გაეყიდა ბაზარზე. იმიტომ, წარსულში მეორე მოტივი იმისა, რომ გლეხის პური გაყიდულიყო ბაზარზე იყო ღალა:

გ. ვეშაპელი (ადგილიდან) ერობებს ხომ მიაქვთ ღალა. გ. ერადი—ამის შემდეგ, ერთი უმთავრესი საბუთთაგანი არის ის, რომ ჩვენ ფულს არ

აქვს ის ღირებდა და მიზიდვებობა, როგორც ქონდა წარსულში.

გ. ვეშაპელი (ადგილიდან)—ერობებს ღალა სად არის.

გ. ერადი—წარსულში გლეხი იმიტომ ყიდა და პურს ფულზე, რომ მიიხნდა ხელსაყრელად ხორბლის მაგივრად ფულის შენახვა. მის შეეძლო ფული გაეხსენებინა და სარგებელი აეღო. დღეს კი, როცა ასე ეცემა ჩვენი ფულის კურსი, თავის თავად ცხადია, რომ ფულის შენახვა აღარ აინტერესებს.

წარსულში მის ეშინოდა, რომ თუ პური დიდხანს დარჩენოდა ბელელში, ბევრი რამ ხიფათი მოელოდა მას. შესაძლებელია ცეცხლისაგან დახარალებულიყო, ან ქურდებს გაეჭურდათ, ან წვიმის გაფუჭებინა. ერთი სიტყვით, ხორბალს დააკლდებოდა, საფრთხე მოელოდა, ფულს კი არავითარი საფრთხე არ მოელოდა. დღეს გლეხობას არ აქვს ტენდენცია, რომ ხორბალი გადააქციოს ბონებათა ბონების კურსი ეცემა და იმიტომ გლეხობას მისი შენახვა არ სურს.

გ. ვეშაპელი (ადგილიდან)—ერობებს ღალა სად არის.

გ. ერადი. ამ მიზეზებს გარდა არის ბევრი სხვა მიზეზებიც. თქვენ მოგხსენებთ, რომ თითქმის 6 მილიონამდე ფული პური შემოდიოდა რუსეთიდან. ჩვენ პურს ის მისვენებლობა მიეცა დღეს, რომ მან უნდა გამოიყენ-

საზოგადოება

„კავასიანი და მერკური“-ს და „კოსტოჩნოე“-ს

გენერალური წარმომადგენლობა

დიდი ბრიტანეთის სასაოცხო საზოგადოების

„კონარდ ლაინი“-ს

გათოფი მოვიდა ზეი: „ანტიგონე“

მიიღება ტვირთი გასაზღვანათ: კონსტანტინეპოლში, ღონდონში, მიდლსბროში, რო. ერდამში და ანტვერპენში.

მიიღება აგრეთვე ტვირთი პირდაპირი კონესამეტებით ნიუ იორკში, ბოსტონში, ფილადელფიაში და კანადაში.

დაზღვევა უცხოეთის ვალიუტით. ერვენის მოედანი. ტელ. 6-82.

4525 3-1.

ქუთაისის საშუალო საშეურნეო სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ მას ესაქიროება ქუთაისის სასწავლებლის მამულში—აჯამეთში მემინდგრეობის განყოფილებებისათვის 1) მმართველი ჯამაგირით თვეში 7,800 მან., ბინა, გათბობა და განათება, 2) აღმზრდელი თვიური ჯამაგირით—6,825 მან., 3) სამი სპეციალური სავნების მასწავლებლები—მემინდგრეობის, მებაღეობის და მესაქონლეობის განყოფილებებისათვის თვიური ჯამაგირით—8190 მან., 4) ერთი ლაბორატორი თვიური ჯამაგირით—6825 მან. თანახმად სასწავლებლის დებულებებისა ბინა ან ბინის ქირა ჯამაგირის მეათელი მიეცემა ყველა მოსამსახურეებს. მასწავლებლობის და სამეურნეო ნაწილის (ფერმის) გამგეს თანამდებობის მიღება შეუძლია უმაღლეს კურს დამთავრებულს, აღმზრდელათ—საშუალო სწავლით და ლაბორანტებათ სპეციალურ საშუალო სწავლა მიღებულგებსაც.

თხოვნები საბუთებით და მოკლე (curriculum-vitae) უნდა გამოიგზავნოს ქუთაისში სასწავლებლის კანცელარიაში იანვრის 15-დღე.

სასწავლებლის პროგრამების გაცნობა შეიძლება „საქართველოს რესპუბლიკაში“ № 246.

სასწავლებლის დირექტორი ვლად. ხოფერიძე.

1032 4-2

ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების

გ ა მ გ ე ო გ ა

ამით აცხადებს, რომ 3 იანვარს 1921 წ.

წლიური ფაქტიური რევიზიის გამო,

საზოგადოების კანტორა, სახელოსნოები და და მალაზიები კირკის ქუჩაზე, რუსთაველის პროსპექტზე და კახეთის მოედანზე დაკავშირებული იქნება.

1052

2-1

ბოს ჩვენი ხალხი. წარსულში კი ასეთი მნიშვნელობა მის არ ჰქონდა. ამიტომ მისი შექმნა უფრო ადვილი იყო, ვიდრე დღეს, როცა მოთხოვნაა მასზე გასაკვირებელი არის, რომ მდებარეობს მხედველობაში იმას, რომ ბურჟუაზიის წყალობით გამოწვეულმა ომიანობამ დაანგრია ჩვენი ცხოვრება, რომ სათანადო გზები არ არის და სხ., ყოველივე ამას თუ გავითვალისწინებთ, ადვილი წარმოადგენდა არის, თუ რამდენად საძნელე იყო, რომ მომარაგების სამინისტროს განხორციელებინა ახალ მოსავლის პირველ პერიოდში ის პროგრამა, რომელიც მან დაისახა. აუცილებლად საჭირო იყო 200 ათასი ფუტი პური და 30 ათასი ცხენებისათვის სარჩო. შეძენა ამის, ისიც მარტო ტფილისის გუბერნიისა იმ დროს, როცა სხვა დანარჩენი ნაწილები საზოგადოებისა, ყველა მისი წარადგინდნენ სოფლად მის შესაძენად იყო შეუძლებელი. ჩვენ ვინახავდით ჯარს, გვარდის, მუშა-მოსამსახურეებს, მაგრამ აგრეთვე შესაძენი იყვნენ ქალაქის მცხოვრებლებიც. რადგან იმედი არ გვქონდა, რომ ჩვენ შევძლებდით იმ პირობებში იმდენი ხორბლის შეძენას, რომ გვარდია და ჯარით გაგვეძღო და ქალაქის მცხოვრებლებს მისათვისაც მიგვეცა, ამიტომ, იძულებულნი ვიყავით, რომ ერთი ნაწილი ტფილისის ყოფილ გუბერნიისა, სადაც ვერცხვადობდა ხორბალს, ჩვენ შევევრებოთ თავისუფალი ვაჭრობა და მეორე ნაწილი კი თავისუფლად დავგეტოვებინა. როცა ლაპარაკობენ, რომ გზები შევკარით და თავისუფალი ვაჭრობა აკრძალეთ, აი სწორედ ეს მდგომარეობა დაედო საფუძვლად ამ თავისუფალ ვაჭრობის აკრძალვას. ვინც გულწრფელად გაეცინება საქმეს, უნდა დაგვეთხროს, რომ ჩვენ ვერ შევძლებდით დღეს-დღეობით ხალხის გამოკვებას, რომ ამ რამდენიმე მაგრაში მომარაგების სამინისტროს არ აეკრძალა თავისუფალი ვაჭრობა. ჩვენ ამ ორმაგი პოლიტიკის წყალობით მივადრევეთ იმ მიზანს, რომ ერთი მხრივ არ დამიშენ ქალაქის მცხოვრებნი და მეორეს მხრით შევქმნილით ის, რომ ჯარი, გვარდია და მუშა-მოსამსახურენი ვარჩინეთ, მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრებზე მდგომარეობა იყო. ჩვენ შევძელით სიღნაღს, ვარის, თელავის და ახალციხის მაგრაში 3 თვის განმავლობაში შევგვეკრიბა 350 ათასი ფუტი ხორბალი, თუ შეიძლება ძველ სასურსათო ორგანიზაციებს, ნახავთ, რომ ძალიან დიდი განსხვავება არის. შარშან იყო ოთხი თვის განმავლობაში დამზადებული 30 ათასი ფუტი და წარუღეს კი 350 ათასი ფუტი. მე იმის ასახსნელად, რომ ორი კვირის განმავლობაში დაბალი ღირებულების პური ეჭვებოდა, უნდა მოგახსენოთ, რომ ახალ ცხოვრებაში იმდენად ძნელი იყო პურის შესყიდვა, რომ არ გვქონდა საშუალება თავისუფლად შეგვეგროვებინა იმდენი, რამდენიც ჩვენ ყოველ დღეობით გვჭირდებოდა. აღეზობამ ნახა ჩვენი ვაჭრებმა და პირველ პერიოდში მოსავლისა მოგაწოდეს ქუჭუქიანი ხორბალი, მისა გაწმენდა იყო საჭირო...

გ. ვეშაპელი (ადგილიდან) რწმუნებულები ვინდებიან?

გ. ვეშაპელი—დიახ ვინდებიან. ის ხორბალი, რომელიც პირველ პერიოდში მივიღეთ გაუწმენდავი იყო და გასუფთავება ესაჭიროება. ჩვენ არ ვიცოდით, არ გვქონდა წარმოდგენილი, რომ გლეხები ასეთ სიძველედ მივიღებდნენ. როდესაც ჩვენი რწმუნებულები სიფრთხილეს გამო ყოველ ტომარს სინჯავდნენ, რომ არ ყოფილიყო ქუჭუქიანი, ვერ მიხვდნენ და ამას ვერ მიხვდა თვით თქვენი მომარაგების მინისტრიც, რომ კარგა ხორბალი თავზე იყო და შუაში კი ქუჭუქიანი ეყარა. გარდა ამ სუფთა ხორბალი იყო, შიგნით კი კარდონისაგან გაკეთებულ უთავო და უბოლო მილში ტალახი ეყარა. ყველა ტომარის გადასინჯვა და გადმოცლა შეუძლებელი იყო.

გ. ვეშაპელი (ადგილიდან)—ეს თქვენი აგენტების საქმე იყო და არა გლეხობის (ხმაურობა).

გ. ვეშაპელი—ერთი სიტყვით...

შ. ნუცუბიძე (ადგილიდან)—ერთი სიტყვით ის თქვე რაზედაც ვთხოვთ.

გ. ვეშაპელი—ერთი სიტყვით...

შ. ნუცუბიძე (ადგილიდან)—ორი სიტყვით თქვე, ოღონდ თქვე (სიცილი, ხმაურობა).

გ. ვეშაპელი—ერთი სიტყვით საკმარისია იმისათვის, რომ თქვენი ტყუილი ვაბათილებული იყოს (სიცილი, ხმაურობა).

თავმჯდომარე (ზარს რეკავს)—გთხოვთ დაწმენდეთ.

გ. ვეშაპელი—დიახ, ერთი სიტყვით მომარაგების სამინისტროს იმ პირობებში, რა პი-

რობებშიაც იყო მოქცეული ახალ მოსავლის დროს, არ ჰქონდა ფიზიკური შესაძლებლობა, რომ გლეხ-ვაჭრობისაგან მიეღო იმდენი, რამდენიც ესაჭიროებოდა და ამიტომ ჩვენ უნდა გვექონოდა დავეხმარა საზღვარ-გარეთის პური, რომ არ დავწოდოდა გლეხობას და ძალიან არ დავგეტოვებინა. თქვენ შეგიძლიათ ბევრი იცინოთ, მაგრამ ვერ გაეჭვივით იმ ფაქტს, რომ მომარაგების სამინისტროს მოღვაწეობის გამო, მუშა-მოსამსახურენი უზრუნველ ყოფილნი არიან მთელი ერთი წლის განმავლობაში პურით.

გ. ვეშაპელი (ადგილიდან)—რა გიჯდებით ეს პური.

გ. ვეშაპელი—ეხლა ფიზიკურად მომუშავენი უკვე იღებენ 1 1/2 გირვანქას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მომავალში ყველა მუშა-მოსამსახურე 1 1/2 გირვანქას მიიღებს. ეს ისეთი უდიდესი საქმეა, ისეთი განძია, რომ სხვა არაფერი გაეკეთებინა მომარაგების სამინისტროს, ესეც დიდი ღვაწლია. ვისაც რომ სინდისი არ დაუკარგავს, არ აქვს უფლება თქვას, რომ „მომარაგების სამინისტროს არაფერი გაუჭვთებია, დანგრევის, განადგურების და ახორციების გარდა“. ვისაც სინდისი არ დაუკარგავს, ის ამას არ იტყვის.

გ. ვეშაპელი (ადგილიდან)—სინდისი საზღვარ-გარეუ გაყდეთ (ხმაურობა).

გ. ვეშაპელი—თქვენ ამბობთ, რომ ერთადერთი გირვანქა პური მოგეცით, მაგრამ იმ დროს, როცა გერმანიის სახელმწიფო, რამდენი ხანია არსებობს...

გ. ვეშაპელი (ადგილიდან)—ცოტა ჩვენზე უკეთესია.

გ. ვეშაპელი—მე მაქვს აქ ამონაწერი გაზეთიდან, საიდანაც სინდისი, რომ გერმანიაში 90% ბავშვებისა ფიზიკურად დაავადებული და განადგურებული არიან...

გ. ვეშაპელი (ადგილიდან)—მაშ, გერმანიაში ბავშვები აღარ ყოფილან.

გ. ვეშაპელი—მე ვამბობ, რომ ფიზიკური მდგომარეობით ისეთი არიან, რომ აღარ წაგავერ ბავშვებს. პარიზი—საფრანგეთი, რომელიც ძლიერია ფულთ, ჯარით, სახელმწიფოებრივ აპარატით და სხვა, სადაც ბურჟუაზიულ პარტიის და არა სოციალისტური სამინისტრო უღვას სათავეში, იქაც ასეთივე მდგომარეობა არის, იქაც ვაჭრებმა არის სურსათის მხრივ. თქვენ არ მოიწონებთ საქართველოში თავისუფალ ვაჭრობის შენღულდა, მაგრამ ისინიც ამავე გზას ადგინან. ასეთ პირობებში იქაც იძულებულნი იყვნენ შეეხდნენ თავისუფალი ვაჭრობა. თუ რუსეთს აიღებთ, იქ უარესია; ხალხი სიმშვილით წყდება. ასეთ პირობებში დიდი განძია, რომ ერთი გირვანქა პურის რაციონი გვქონდეს მთელი წლის განმავლობაში...

გ. ვეშაპელი (ადგილიდან)—რა ღირს, რა გიჯდებით ეს. (ხმაურობა).

გ. ვეშაპელი—მუშა-მოსამსახურენი იღებდნენ 240 ათას რაციონს. ე. ი. თვეში იჭებებოდა 240 ათასი სული. ოქტომბერში ერთ თვეში სულ გაგვიცია 7 მილ. 200 ათასი რაციონი.

გ. ვეშაპელი (ადგილიდან)—რა გიჯდებით?

გ. ვეშაპელი—მოგახსენებთ—ჩვენ გირვანქა პური გვიჯდება 34 მ. 31 კ.

გ. ვეშაპელი (ადგილიდან)—რას ანგარიშობთ?

გ. ვეშაპელი—აი რას ვანგარიშობთ. ვანგარიშობთ იმას, თუ რამდენი მივეციოთ ხორბალში გლეხს, რწმუნებულს, ერობას, მეურმეს, მუშას, რომელმაც დატვირთა მუშას, რომელმაც გადმოტვირთა ვაგონიდან, რკინის გზას, მუშას; რომელმაც დროგზე დატვირთა, მედროგეს, საწყობის ვამბეს, კონტორიკს, ბუღალტერს, სამინისტროს ცენტრალურ დაწესებულების მოხელეებს, მუშათა მაგიდას, შემდეგ ფურნეში მეფურნეს. ვანგარიშობთ იმასაც, თუ რა დავგიჯდა პურის დროგზე დადება და თქვენთან მოტანა (ტაში). მთელი ეს ერთი თვის დახარჯული პურის ღირებულება შეადგენს 247 მილ. 32 ათას მანეთს. ამავე დროს ბაზარზე შავი პური იყიდებოდა 6 მან. ოქტომბერში ჩვენი პური იყო თეთრი. მაგრამ თუ ჩვენ პურს შევადარებთ შავ პურის ფასს, ეკონომია იქ, ნება სულ ცოტა 184 მილ. 968 ათასი მან., თუ თეთრ პურის ფასებს შევადარებთ, რომელიც იყიდებოდა ბაზარზე 120 მან., მაშინ ეკონომია უდრის 616 მილ. 968 ათას მან.

გ. ვეშაპელი (ადგილიდან). თქვენი ეკონომია, თუ გლეხების ეკონომია.

გ. ვეშაპელი—ის არის ეკონომია ერისთვის, სახელმწიფოსათვის. პური მუშა-მოსამსახურენი იხდიდნენ გირვანქაში 5 მან., სულ გადაიხადეს 36 მილ. მანეთი, ნამდვილად ღირდა 247 მილიონ 32 ათასი მანეთი; მუ-

შებისათვის ეკონომია იმაზეა—211 მილ. 32 ათასი მან. და რაკი თეთრ პურს ვაძლევდით, ეკონომია უფრო მეტია და უდრის 828 მილიონ მანეთს.

თავმჯდომარე. ბატონო ორატორო, თქვენი დრო გათავდა. (ხმები: ვთხოვთ).

გ. ვეშაპელი (ადგილიდან). ილაპარაკოს, სანამ კახელაძემ არ მივა.

თავმჯდომარე ინებეთ, ბატონო ორატორო.

გ. ვეშაპელი. ამავე დროს ეკონომია ჯარზე და გვარდიაზედაც დიდი იყო. მობილიზაციამდე საჭირო იყო თვეში 1 მილიონი 500 ათასი რაციონი. თუ შავი პური გვექნებოდა ეკონომია გამოვიღოდა 38 მილიონი 535 ათასი მან., მაგრამ რაკი თეთრი პური გვქონდა ეკონომია უდრის—128 მილ. 535 ათას მანეთს. ამ გარდა მარტო პურის მიწოდება რომ ავიღოთ, აქედანაც ნათლად სჩანს, ის რომ მომარაგების მოღვაწეობა იყო რაციონალური, [თვით ეკონომიის მხრივაც. თქვენ ისიც უნდა მიიღოთ მხედველობაში, რომ ეს ეკონომია არის დღევანდელ პირობებში, როცა სახელმწიფოს საშუალება აქვს მუშა-მოსამსახურეთათვის და ჯარიც გვარდისათვის იაფ-ფასიანი პურის მიწოდებისა. მაგრამ თუ წარმოიდგენთ ისეთ მდგომარეობას, რომ სახელმწიფო არავის აძლევდა ერთ მისხალ პურსაც მაშინ ცხადი ვახდებდა, თუ რამდენად გაიზრდებოდა ის ფასები, რომელიც დღეს ბაზარზე არის. ჩვენ ეს წარმოდგენილი გვაქვს.

გ. ვეშაპელი (ადგილიდან) კონკურენცია სცემს ფასებს.

გ. ვეშაპელი. ამ ეკონომიის დიდი გავლენა ჰქონდა აგრეთვე ჩვენს ფინანსურ მდგომარეობაზედაც. ჩვენ რომ იაფ-ფასიანი პური არ მიგვეწოდებინა მშრომელთათვის, ჩვენი ფინანსური მდგომარეობა უფრო შერყვეული იქნებოდა, ვიდრე ეს დღეს არის, ვინაიდან ჩვენ მაშინ იძულებული ვიქნებოდით ჯამაგირი დავგვეტვირთა და ისედაც დაცემული კურსი ბონებისა მეტად დავგვეცა.

ეხლა უნდა მოგახსენოთ, იმ დიდი საკითხის შესახებ, რომელიც იწვევს დიდს ინტერესს და ყურადღებას საზოგადოების ყველა წრეებში; ეს არის მონოპოლიის საკითხი. ჩვენ შეიძლება ვვითხოვთ, რომ ავითოთ თუ კარგათ მონოპოლია მოაწესრიგეთ, მაგრამ ამ მონოპოლიით ყველაფერი დაანგრეთო. ჩვენ კა ვამბობთ, რომ სწორედ ამ მონოპოლიის საქმის მოწესრიგებით ჩვენ შევძლებდით ერთი დიდი საქმის გაკეთება. როგორც სასურსათო საკითხის, ისე მონოპოლიის შესახებ ისტორია აღნიშნავს იმ დიდ ღვაწლს, რომელიც სამინისტროს მიუძღვნა.

რა პირობებში იქნა მონოპოლია შემოღებული და გატარებული?

მონოპოლიის საკითხი ჩვენ უნდა გავყოთ ორ პერიოდად. პირველი პერიოდი—ეს როცა მონოპოლია არ ეხებოდა მწარმოებლებს და წარმოებას, ხოლო მეორე პერიოდი, როცა მონოპოლია შეეხო, როგორც მწარმოებლებს ისე წარმოებასაც. ეს ორი პერიოდი აუცილებლად უნდა გამოვყოთ ერთმანეთისაგან, რომ თქვენ ნათელი წარმოდგენა იქონიოთ სამინისტროს პოლიტიკის და მის მთავარ გეზის შესახებ.

ომიანობის დროს, სანამ ევროპაში გზა ვაინხნებოდა, ჩვენში დაგროვდა დიდი რაოდენობა პარკი და მატყლი. რა წამსაც ევროპისაკენ გზა გაიხსნა, უცხოეთის ვაჭრებმა იწყეს ჩვენში შემოსვლა და დაუწყეს გაზიდვა ამ სიმდიდრეს, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის. ჩვენი საზღვრებიდან ამ საქონლის გაზიდვას შეიძლებოდა ისეთი ხასიათი მიეღო, რომ ჩვენ არაფერი დაგვარჩენდა. მთელი ეს მოგროვდელი საქონელი: პარკი, მატყლი, თუთუნა ვაჭრებს ეპყროთ ხელთ. ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო, რომ ეს სიმდიდრე სახელმწიფოს დარჩენოდა და ვაჭრებს არ მიეღოთ ის გაზვიადებული უზომო ზედმეტი ღირებულება, რომელიც მათ სიზმარშიაც არ უნახავთ...

ა, ახათიანი (ადგილიდან) თქვენ რამდენი ჩაიდლებით?

გ. ვეშაპელი. ჩვენ არაფერი არ ჩავვიღეთ, მაგრამ ის, რაც თქვენ უნდა ჩავვიღოთ, სახელმწიფოს სალაროში ჩავვიღეთ. (ტაში)

ჩვენ ამ საკითხს ასე უყურებთ: დღევანდელ პირობებში ჩვენ პრინციპულად მისაღებად მივგანჩნა მონოპოლია და ამ ერთი წლის ისტორიამ, პრაქტიკულმა საქმიანობამ დაამტკიცა ეს ჩვენი თეორეტიული დებულება, შეხედულება, მაგრამ შეიძლება, რომ კარგი პატიოსანი და მოსაწონი აზრი უხერხოდ კაცის ხელში იქნეს გატარებული.

ბ. კელი (ადგილიდან): მართალია.

გ. ვეშაპელი. შესაძლებელია, რომ ამ მონოპოლიის გატარების დროს ისეთი ნაბიჯები იყო გადადგმული, რომელიც სახელმწიფოსათვის ან წარმოებისათვის საზიანო, ან საშიში იყო. მაგრამ დღეს არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ მონოპოლია ცუდია, არა, დღეს ამბობენ, რომ მონოპოლია კარგია, მაგრამ თქვენ თითონ უხერხოდ ხართო. რამაც ასე არ არის, მე ამას ფაქტებით დავამტკიცებთ. მე უნდა განვაცხადო, რომ იმ ფისკალურ მიზნებს, რომელიც ჩვენ დავისახეთ მიზნად პირველ პერიოდში, არავითარი გავლენა არ ქონდა წარმოებაზე. ამაში ჩვენ ფაქტებმა დავადასტურებთ. პირიქით, ის, რაც ჩვენ შევქმენით წარმოებაზე დადებითად ახდენდა გავლენას.

ახათიანი (ადგილიდან): აყვავდა წარმოება.

გ. ვეშაპელი. ჩვენ ამ მონოპოლიის საშუალებით შევძელით აუარებელი ქონების, რომელიც საზღვარ გარეთ უნდა გასულიყო, ჩვენს სასარგებლოდ გამოყენება, ჩვენ მონოპოლიის საშუალებით, მის შემწობით შევძელით 13 მ ათასი ფუტი თუთუნის გაყიდვა საშუალოდ სამ გირვანქა სტერლინგად.

გ. ვეშაპელი (ადგილიდან): რამდენი ვერ გაყიდეთ. რამდენი დალუპეთ.

გ. ვეშაპელი. ჩვენ არ დავლუპეთ არც ერთი გირვანქა, მაგრამ ვერ გაყიდეთ მხოლოდ ასი ათასი ფუტი. მაგრამ ისინი კი, საიდანაც ჩვენ ეხლა სიცილი ვგვსმის, დიდი ხნის ვაჭრებმა, ფინანსისტებმა, კომერსანტებმა და დიდმა სპეკულიანტებმა, რომლებიც შავი ყორნებით დაესიენ ამ თუთუნს და ლამობდნენ ამ თუთუნის ხელში ჩაგდებას, 99% იმათაგან ჩაუღდა ტალახში. ჩვენ არ დავალოვებთ არც ერთი გირვანქა თუთუნს იმ დროს, როცა გამოცდილი ვაჭრები დაესიენ ამ თუთუნს, დაეხარბენ თუთუნის დიდ მოგებას და გაიტანეს საზღვარ გარეთ და ზედ დაასხდნენ მთელი წლის განმავლობაში. ჩვენ ასე არ მოვიქცით. ჩვენ ამ თუთუნს ვყიდდით აქ.

გ. ვეშაპელი (ადგილიდან): იქაც ვაჭრობდით და მოთხოვდით 6 გირვანქას მყიდველს და ვერ გაყიდეთ.

გ. ვეშაპელი. ჩვენ იქ არა ვაჭრობთ. ჩვენ იქ ვაჭრობდა მხოლოდ ერთი პარტია საზიარო თუთუნის, ვინაიდან ჩვენ არ ვაჭრობდა საშუალება ყველა თუთუნები შეგვეყიდო. ჩვენ დავადექით იმ გზას, რომ ზოგიერთებს ჩვენ შეუთავსებდით საამხანაგოთ გაგვეყიდა საზღვარ-გარეთ, მაგრამ აქაც კი, რაც უნდა ჩვენ ჩვენი წილით აგველო—იგი ჩვენ ავიღეთ, მხოლოდ იმათ, კერძოდ გაიტანეს თუთუნის საზღვარ-გარეთ უმრავლესობაში იზარალა. აი, იმათ, ვისაც სურდათ ერთ კაპეკათ შეეძინათ ერთი მილიონი, ის კაპეკიცი დაკარგეს.

გ. ვეშაპელი (ადგილიდან)—ერთი სიტყვით თქვენზე გენიოსი არავან არის.

გ. ვეშაპელი. ამის გარდა საზღვარ გარეთ გავიკანეთ 160 ათასი კილოგრამი პარკი. მთელი ეს სიმდიდრე, იმის შემწობით, რაც ჩვენ მივიღეთ თუთუნის ან პარკის, ნაწილობრივ მატყლის გაყიდვით, ჩვენ საშუალება მოგვეცა, რომ ის პროგრამა, რომელიც გათვალისწინებული ჰქონდა მომარაგების სამინისტროს განხორციელებული ყოფილიყო, რომ მონოპოლია არ ყოფილიყო და რომ თუთუნის, პარკი და მატყლი არ გამოგვეჭყვევებია და გავგვეშვა თავისუფლად. შეიძლება ქვეყანა დამშეული ყოფილიყო და ამიტომაც სახელმწიფო, რომ შესილო ამ მონოპოლიის შემწობით თუთუნის ნახევარ მილიონი გირვანქა სტერლინგის აღება და მოახერხა იმ ვაჭრებზე მდგომარეობიდან თავის დახსნა, რომელშიც იგი იყო შარშან და წელსაც, ეს არის უფდიდესი დადებითი მხარე ამ მონოპოლიისა.

გ. ვეშაპელი (ადგილიდან) რამდენი ვაღლიუტა უცხოეთში პიოდა ანგარიშებზე.

რაში შედიან (ადგილიდან) რაო, რაო.

ბ. კელი. უხერხული საკითხია. ამაზე პასუხს ვერ მოგვცემთ.

ვეშაპელი. პირად ანგარიშებზე რამდენია თქვენი ვალიუტა უცხოეთში.

რაში შედიან. რაო, რაო. რას ბრძენებს ბ-ნი ვეშაპელი. (ხარი, ხმაურობა).

მ. ტროსელიძე. ძროხების გაყიდვით რამდენი ვაჭეთ თქვენ.

თავმჯდომარე (ზარი) გთხოვთ ადგილიდან წუ ინებეთ ლაპარაკს.

ვეშაპელი (ადგილიდან) მე ვეკითხებით რამდენი არის ვალიუტა უცხოეთში. როგორ მოიხმარეთ ის და როგორ განაწილდა მათ შორის, ვინც უცხოეთში არიან.

გ. ვეშაპელი. რომელი ვალიუტა. (ხმაურობა, ხარი).

თავმჯდომარე. უმორჩილესად გთხოვთ ხელს წუ უშლით, დამთავრებინეთ სიტყვა ბ-ნ მინისტრს. გთხოვთ განმეორებით.

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.

გ ა ზ ე თ

„საქართველოს რესპუბლიკა“-ზე

გაზეთი თვიურად აღიკვამ 500 რაზით, წლიურად 6,000 მან. სალკო ნორმირი 20 მან. ნოსიით გაზეთი არავის გაგზავნება. გაზეთის ჯალბატი რისხვი არ ღიგაქდება.

სწავლდებულთ განცხადებათ დაბეჭდვა, როგორც არის შემოკლებული და მოწვევა სიგელის და ანდერძის დამტკიცება და სხვათა 1921 წ. იანვრ. 1-დან ღირს 600 მან., ფული აუცილებლად უნდა იქნას შემოტანილი კანტონში.

გ. ერაძე. ჩვენ გვაბრალდებენ, რომ ეს მოწოდება ისეთ ცუდ პირობებში იქნა გატარებული, რომ მან მოსპო მეთუთუნებობა, მეპარკობა და შემატყულება. ჩვენ ვერავითარი საბუთი ვერ ვნახეთ ბნ კელიას მიერ წამოყენებულ ბრალდებაში. ბნ კელიას მოსაზრებით საბუთი ის არის, რომ წარსულში 800 ათასი ფუთამდე მზადდებოდა თამბაქო, წარსულს კი, როდესაც მონაპოლია არსებობს 150 ათასი ფუთი მდღის შეიძლება დამზადდესო. მე უფრო კარგი წარმოდგენისა ვიყავი ბნ სპ. კელიაზე, იმდენათ სერიოზულპოლიტიკურ მიღწევით მიმაჩნდა, რომ ასეთ არა სერიოზულ ორგანიზაციას...

გვამავლი (ადგილიდან) ორგანიზაციის დასაცვა.

გ. ერაძე. არ წარმოადგენდა. მას არ სცოდნია, რომ არასოდეს არ ყოფილა, რომ 800 ათასი ფუთი თამბაქო დამზადებულიყოს არასოდეს არ მოსწრებია საქართველოს ის, რომ ერთი წლის თუთუნის ყოფილიყო 800 ათასი ფუთი.

ხმ. კელი (ადგილიდან). სწორედ, ბატონო, 802 ათას ფუთამდე მზადდებოდა. ამის საბუთი გვაქვს.

გ. ერაძე. უფიქრითი მოსავალი სობუში ომიანობის დროს იყო 600 ათასი ფუთი.

ხმ. კელი (ადგილიდან) 802.

გ. ერაძე—რატომ არ გინდათ თქვენ კონკრეტულად და დინჯათ მიუდგეთ ამ საკითხს. რა არის მაზეტი იმისა, რომ 800 ათასი ფუთიდან ჩამოვიდა 150 ათას ფუთამდე? რატომ გინდათ, რომ გინდებოდეს იმსჯელოთ, რომ ბრუნდნა სწორად გვაჩვენებია? გინა მონაპოლია არის დამწვავე იმასო, რომ წარსულში პური იფი იყო—ფუთი ოთხ აბაზათ იყიდებოდა, რომ მეთუთუნე მამინ არ იყო დანიტრესებული პურის მოყვანაში, დღეს კი, როცა პურს ასეთი დიდი ფასი მიეცა და თამბაქოს ფასი კი დაეცა—მეუწინეს თუთუნის მოყვანას ინტერესი დაეკარგა. ხუთი წლის განმავლობაში, ომიანობის დროს, აუარებელი თუთუნის დავარცხნა ჩვენი და პირველ პერიოდში, როდესაც გაზსენა ვეროპისაყენ გზა, ყველამ მიამწურა ამ ბაზრისაკენ. აუარებელი თუთუნის მაზაზლეკს ღონდონს. რამოდენიმე თვეში მილონ ფუთზე მეტმა მოიყარა იქ თავა და სწორედ ამან დასცა თუთუნის ფასი. სანამ ასეთი დიდი ზაპასი თუთუნისა არ გამოიღვია ვეროპაში, თუთუნის ფასი არ მრემატება. გინა თქვენ არ იცით, რომ ჩვენი თუთუნის უმთავრესად ხზარდებოდა რუსეთს და ნაწილი ვადიდოდა მხოლოდ ეგვიპტეში! და დღეს, როდესაც რუსეთში არ ვადის არც ერთი გირვანქა თუთუნის, რა საბუთი გავტო ილაპარაკოთ, რომ მონაპოლია ვახდა იმის მიზეზი, რომ თუთუნის ფასი დაეკარგო! ჩვენ ვამბობთ, რომ უმთავრესი მიზეზი, მთავარი, რომელმაც ხელი შეუწყო თამბაქოს მეურნეობის დაკლებას—ეს იყო ის ვარეზობა, რომ საზოგადორო ჩვენ თუთუნის ბაზარი აქვს ჩაქტილი.

ეს ერთი მერე, —რომ პურის კულტურა დღეს შედარებით ხელსაყრელია მეურნისათვის, რაკი თუთუნის არა აქვს ვასავალი. მეტა ინტერესის ვალდებობით გლენკაციების პურის კულტურაში და მესამე, რომ სოხუმის ოლქში მიკრული იყო რუსეთის საზღვრებს, სადაც 2 წლის განმავლობაში ჩვენ მოსვენება არ გვქონდა, მშვიდი ცხოვრება არ იყო, —ფრონტით იყო ეს მხარე ვადაქციეული და ერთი დიდი ნაწილი ამ სოხუმის ოლქისა ამის ვამო იქნა ვანიორწყალბული და თუ მიიღებთ მხედველობაში კიდევ იმ ვანიორების და ეს უნდა მოგვსენებოდეთ ბ. კელია, რომ სოხუმის ოლქში მეურნეები თვით კი არ აწარმოებდენ მარტო ამ კულტურას, არამედ იგინი დაქირავებულ შრომით სარგებლობდენ და დაქირავებული შრომა, მუშა ხელი შემოდიოდა და უფმთავრესად სოქის ოლქიდან, როდესაც იქ ფრონტი იყო და ეხლა კი საზღვარია, ცხადია სოქის ოლქიდან მუშა ხელს ვედარ მივიღებთ, უმწროთ კი მეურნეებს არ შეეძლო მეთუთუნეობის აყვავება. აი ეს უმთავრესი მიზეზები, ვისაც არ უნდა დანიანბნ ეს, ის ვერაფერს დანიანბნავს. წარსულში მე თუთუნეები იყვნენ მონა-მოჩილი მხოლოდ ფინანსისტებისა და ვაჭრებისა, რომლებიც ვარშემო ეხვიენ და სწუწინდენ მათ. ერთი შემთხვევა, რომ წრეულს ფულის ვადავაზენა ფინანსთა სამინისტროდან ერთ პერიოდში, ერთი კვირის ან ორი კვირის განმავლობაში შევვიდა, ამზე ასტებეს ვაჭარს, სამაგიეროდ აუარებელი ცნობები გვაქვს, რომ წინათ როცა მონაპოლია არ იყო თუთუნით სპექულანტებს კულში დასდებდა გლენკაციობა, იმ თუთუნის საფასურის ასაღებათ,

რომელიც მათ ქონდათ მათდამი ჩაბარებული. მიუხედავად ამისა მაშინ მეთუთუნეობა ამ ერთი მიზეზით არ მოსპობილა და მეთუთუნეობა არ დაიღუპა და ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოს თავის ხელში არ იღო მონაპოლია, არც ერთი კაპიტალისტი, არც ერთი ფინანსისტი, არც ერთი საკრედიტო დაწესებულება არ გამოვიდოდა საქართველოში, რომელიც ხელს ვაუწოდებდა მეურნეებს. არ გამოვიდოდა, დიახ, იმიტომ, რომ ჩვენში არ არიან, არ არსებობენ იმდენი შეძლებული საკრედიტო დაწესებულებანი და კერძო კაპიტალისტი, რომელნიც გამოიღებდენ თანხას რამოდენიმე ას და ათას მილიონ მანეთს, რომელიც სჭირია თუთუნის მეურნეობისათვის. საზღვარ-გარეთელი კაპიტალისტი ვერ ეფრთვე ვერ დააბანდებდენ ამ თანხას, სანამ ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა არ არის ვამორკვეული. თქვენ ვკუთხემ რომ გვევლო, მაშინ ამ მეურნეობას დაეშინებოდა ისეთი უედლორი დღე, რომ იგი სულ ძირთან ბუდვანად მოვარდებოდა.

გვ. ზავა (ადგილიდან) ჩვენ მონაპოლიას წინააღმდეგი არ ვართ.

გ. ერაძე. შეიძლება ჩვენ არ გვეყავდა ვამოცილო ვაჭარბა, რომელნიც ამ საქმეს მოუვლიდნენ. შეიძლება ჩვენ არ გვეყავდა, —ამაში ჩვენ პირალი ვადვდომ, რომ ჩვენ ვამოცილო სპეციალისტები არ მოვიყვანეთ, არ ჩავყენეთ ამ საქმეში საუკეთესო და ვამოცილო ხალხი. ესეც არ არის მარათალი. ერთი საუკეთესო სპეციალისტი, რომლის სპეციალისტობის წინააღმდეგ ვარსებს ვერვინ დასძრავს, ეს ვახლავთ, მას სოხუმის ოლქში ვარვდენ იცნობენ, ბ. ჩიკოვი, რომელიც აღიარებულა, როგორც საუკეთესო მკლდენ მეთამბაქოების, იგი ჩვენთან არის, აგრეთვე საუკეთესო მეთუთუნე, ვამოცილო ვაჭარი და სპეციალისტი ვოკიელოვი, რომლის წინააღმდეგ ვაცი კრინტს ვერ დასძრავს, ჩვენთან არის. საუკეთესო დახელოვნებული სარტიროვჭარები—3 კაცა, რომლებიც წარსულში დიდად მიღებულნი იყვნენ ვიკრო ვაჭრებში, ისინიც ჩვენთან არიან. ვინც ვადულობენ თუთუნს, ჩვენ გვეუზნებთან, რომ თუთუნის მოგვეყით სამინისტროს მარკითო. მიუხედავად იმისა, რომ კერძო ვაჭრები აწარმოებენ მეტად უსწორ-მასწორო ვაჭრობას, მიუხედავად ამისა აუარებელმა სპექულანტებმა, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არ ქონდათ წინად თამბაქოსთან, ვახიდეს საზღვარ ვარედ ვაუარჩევლად გლახა, ვაფუჭებულ და ვარგი არეული და მით ვაფუჭეს ბაზარი ჩვენებურ თუთუნებისათვის. მომარაგების სამინისტრომ მაინც შესძლო თავის სპეციალისტთა საშუალებით ხელახლა მოეპოვებინა სახელი ჩვენი თუთუნისათვის საზღვარ ვარეთელ ბაზარზე.

ხმ. (ადგილიდან): რომელ ბაზარზე.
გ. ერაძე. იმ ბაზარზე, რომელზედაც ეზიდებთან ჩვენ თუთუნს: ეგვიპტეში, ლონდონში... აი ამ ბაზარზე, ვინც ეხლა ჩვენგან თუთუნებს ვიდულობს იგი აუცილებლად მოითხოვს მთავრობის საკუთარი მარკის თუთუნებს. დარწმუნდენ, რომ სამინისტროს მიერ დამზადებულ თუთუნებში არ არის სიყალბე. საზოგადოდ ჩვენ ამის შესახებ, ბატონებო, უნდა მოგახსენოთ, რომ ერთი შეცდომა დავუშვით.

გვ. ზავა (ადგილიდან): ეს არაფერი.
გ. ერაძე. რომელსაც ვადამწყვეტი მნიშვნელობა კი არ ქონდა, მაგრამ ის ვარგი რაც ვავაქეთით შეიძლება მეტი ვაკეთებულყო. ეს ის, რომ მომარაგების სამინისტრო იყო ერთს ბ იმზე დროს წარმოების ხელმძღვანელი და იმავე დროს მყადელი და ვამყიდელი. ჩვენ

ვდიარებთ, რომ ის ვარგი საქმე, რომელიც სახელმწიფომ მოაწყო, უკეთესად მოეწყო, თუ მეურნეობას ვაუჭდებდა ის უწყება, რომელთანაც იგი ბუნებრივად არის დაკავშირებული და მომარაგების სამინისტრომ კი აიღოს მხოლოდ ამ თუთუნის ბაზრის მოპება, მისი რეალიზაცია. ის ფისკალური მიზანი, რომელიც ჩვენ დავასახეთ მონაპოლის ვარგულ პერიოდში, როდესაც თუთუნის პარტონი იყვნენ არა მეურნე-პლანტატორნი, არამედ ვაჭრები, ვამართლა ჩვენმა პრეტქამ. ეხლა აღარ ვისახეთ იმ ფისკალურ მიზანს, ჩვენი სურვილია მივსკეთ მეურნეებს შეღავათი, რომ მათ შესძლონ თავიანთი ნაშრომი დაიბრუნენ და ის პროცენტული ვადასახი, რომელიც დაწესებული იქნას. მართალია ეს საკითხი მოავრობაში კონკრეტულად არ ვადამწყვეტილა, მაგრამ მე არ შევცდები და იმედი მაქვს, მთავრობა ამ ვახს დაადგება რომ მეტი საშუალება მიეცეს მეურნეს, მეტად დანიტრესებული იყვეს თავის მეურნეობის აყვავებაში.

როგორედ სიტყვა მატყლის შესახებ. აქ ლაპარაკობდენ, რომ მომარაგების სამინისტრომ იადედ ჩავადო ხელში მატყლი, მეტს იღებს და მეურნეობას სცემსო. ეს არ არის მართალი. ახალ მატყლს მომარაგების სამინისტრო არ ვადულობს, ვინაიდან ახალ მოსავალზე სულ ახალი პრინციპი დაედვა სარჩულად ამ მეურნეობას, მის ვანეთარებას. ამის მიხედვით სჭირია იყო შექმნილიყო კოოპერატიული ორგანიზაციები მეთუთუნეების, მეზიტყულების, ორგანიზაციები, რომლებიც უნდა იყონ ვამძღოლნი და მომწესრიგებულნი ამ საქმისა. ამ მხრივ მომარაგების სამინისტროს მიუძღვის დიდი ღვაწლი. რომ აიღოთ და შეადართო ის ვარგები იმ ფულების რაოდენობასთან, რომელიც სახელმწიფომ ვადილა, ნახვით, რომ სახელმწიფომ ავანსის სახით მისცა მეტი, ვიდრე მატყლი ღირდა ბაზარზე.

გვამელი (ადგილიდან) მეტი მისცა!

ხმ. როგორ მოხდა?
გ. ერაძე. როგორ მოხდა—აი ამის საბუთები. დღეს ბაზარზე მატყლი იყიდება ფუთი 80 ფრანკად. ნარჯები, რომელიც უნდა ერთ ფუთ მატყლის რეალიზაციას, უდრის 22 1/2 ფრანკს, თუ მას ვამოვაკლებთ მატყლის ღირებულებას, დარჩება 57 1/2 ფრანკი.

ამ მატყლის საქმეში სახელმწიფოს დაბანდებული აქვს 80 მილიონი ეროზელ, რაცა უდრის 70 ათას გირვანქა სტერლინგს; 40 მილიონი მეორედ, რაც უდრის 10 ათას გირვანქა სტერლინგს; 20 მილიონი მესამედ, რაცა უდრის სამ ათას გირვანქა სტერლინგს. სულ რომ ვინავარიოთ, უცხოელთა ვალიუტა მიცემულა მემატყლეზზე 83 ათასი გირვანქა სტერლინგი. მოგვარევილი მატყლი 60 ათასი ფუთი, კიდევ ველოდებით 20 ათასს, სულ 80 ათასი ფუთი. აქედან 30 ათასი ფუთი ვაციდა 4500 მანეთად—135 მილიონი მანეთი. სამი ათასი ფუთი ვაციდა 4,500 მანეთად—13 მილიონი 500 ათასი მან. 47 ათასი ფუთი უნდა ვაციდადს 8 ათასი მან.—376 მილიონი მანეთი, სულ მთლად იქერს—524 მილიონ 500 ათას მანეთს. აქედან მემატყლებმა უნდა მიიღონ თვითდარებულება ფუთზედ 2 ათას 800 მანეთი—სულ 214 მილიონი მანეთი; ეს ვამოვაკლოთ 524 მილიონ 500 ათას მანეთს, დარჩება—310 მილ. 500 ათასი მანეთი. აქედან მემატყლენი იღებენ კიდევ 45%, როგორც მოგვების წილს—181 მილიონ მანეთს. მეცხვარეობის ფონდისთვის მიიღებენ 10%—31 მილიონ მანეთს, სულ—426 მილიონ მანეთს. მიღებული აქვთ 140 მილიონი მანეთი, დარჩებათ მისაღები 286 მილიონი მან.

თუ წარმოიდგენთ, რომ 3 თვის განმავლობაში შეიძლება კურსი ორჯერ კიდევ დაცეს, მაშინ უნდა მიიღოთ სახეში, რომ ისინი მიიღებენ. 286 მილიონს 28 ათას 600 გირვანქა სტერლი, მიღებულა აქვთ უკვე 83 ათასი გირვანქა სტერლინგი ავანსის სახით, სულ ვამოვა 111 ათასი 600 გირვანქა სტერლინგი. ეს ვამი უდრის 6 მილიონ 636 ათას ფრანკს—ვაციდა 80 ათას ფუთზედ—ვამოვა ერთი ფუთი მატყლის ღირებულება 83 ფრანკი 110 თითო ფუთ მატყლზე ვამოდის 267 1/2 ფრანკი შედმეტი, ვიდრე მატყლი ღირდა ვეროპის ბაზარზე. რასაც ისინი იღებენ ავანსის სახით, არასოდეს არ მოსწრებია მემატყლეზები მეცხვარეობი, მეკატორეები ასეთ მდგომარეობას. წარსულში კი ასეთ პირობებში არ ვყოლიათ ისინი ჩაყენებული სპექულანტებს და ვაჭრებს, ისინი მატყლის საღარაღის ერთ მესამედს ვერ იღებდენ. დღეს კი სახელმწიფო მონაპოლით საშუალება მიეცათ ის ღირებულესა, რომელიც არის ევროპის ბაზარზე, ვერა კიდევ ავანსით ვინაღმდით მაშინ, როდესაც მატყლი ვაციადული არ არის. ამის შემდეგ რომ ვამოვხვალთ და იტყვიოთ, რომ სახელმწიფომ ვერ ვაუწია დახმარება მეურნეობასო, ეს მიმაჩნია იმათ მხრივ, ვინც ვაციობილია ამ საქმეს, თალთობად, ვინც არ იცნობს ამ საქმეს—დაუდევრობათ.

ის პრინციპი, რომელიც ჩვენ ვდიარეთ მეთუთუნეობის შესახებ, სარჩულად უნდა დაედვას მემატყლეობასაც; მემატყლეობა უნდა დაუქვემდებარდეს იმ უწყებას, რომელთანაც მას აქვს ბუნებრივი კავშირი, რაც შეეხება ადემოციემობას, ეს კი უნდა დაუქვემდებარდეს მომარაგების სამინისტროს.

ასეთსავე მდგომარეობაში იყო ჩაყენებული პარკის საქმე. იმ დიდი საფასურის ვალება, რომელიც ჩვენ პარკში მიეცეთ, არც ერთ კერძო დაწესებულებას და ვაჭარს არ შეეძლო. თუ მოსავალი ნაქლები იყო, ამის მაზენი უნდა ვიქებოთ სხვაგან, ვინაიდან შარშანდლთან შედარებით წელს მოსავალი 50% ვინავარდა. ეს მიცემეობა იმას, რომ იყო მონაპოლია, რომლის შემწეობითაც იყო შემოტანილი თესლი, რომელსაც ვყოც ერთი კერძო პიროვნება და დაწესებულება ვერ შემოიტანდა, ვინაიდან ოსპალები წარსულ ომში იყო წათრეული და აქ ამის წარმოება თითქმის მოსპო. ვარდა ამისა სახელმწიფოს მეტი ნლოდა ჰქონდა და ის ვაუდგა ამ საქმეს სათავეში. მან შესძლო შეუჩვევლი თესლის წარმოება.

საზოგადოდ ჩვენი მოსავალი პროგრამა იმვე საფუძვლიდან ვამიღინარეობს სასურსათო საკითხში, როგორც იყო ჩვენი მოღვაწეობა აქამდე. უმთავრესი ადგილი ვერ სასურსათო საგნებს ეთაობა და ვერ სხვა საქარო ნივთებს. ჩვენი უმთავრესი ყურადღება იქათ უნდა იყოს მიქციული, რომ ჩვენი მოთხოვნილებანი ჩვენი საკუთარი მეურნეობით იყოს დაკმაყოფილებული, რომ არ მოგვიხდეს აქედან ოქროს ვანიდვა საზღვარ-გარეთ და ის ვამოყენებული იქნას ისეთი ნივთების შესაძენად, რომლებიც ვაკეთება ჩვენი საკუთარი ხელით არ შევძლებთან. ამ პროგრამის განხორციელება შესაძლებელია მაშინ, თუ ვვექნება საგზალი რამდენიმე თვისა, რომ იძულებული არ ვიქნეთ უდრო-უდროოთ არ მივადგეთ გლენკაციობას პურისთვის. ამით მოგვეცემა საშუალება, რომ ვაჭრობა იყოს რაციონალური, ეკონომიური და ვანაწილებაც რაციონალურად და დინჯათ მოხდება. მე ამით ვაჩავებ ჩემს სიტყვას იმიტომ, რომ დავილაღე და დროც არ მაქვს.

რაც შეეხება ბნ კელიას ნალაპარაკებს და იმ დებულებას, რომელიც მან წამოაყენა მომარაგების სამინისტროს წინააღმდეგ, მისი ნალაპარაკები ერთ უმთავრეს საგანს შეეხებოდა, იმას, რაც სახეში უნდა მიიღოს ვველაში. შესაძლებელი არის, რომ ყველა ვერე რიგზე არის დაყენებული, ვაჭრობა, ფინანსები, ალენ-მიცემა და სხვ. მაგრამ ბოროტ-მომქმედი არის ჩაღნილიო. უმთავრესი ლეიტ მოტივი ბატონ კელიას იყო ის, რომ რწმუნებულეზი ვყავთ ქურდები და ბოროტ-მომქმენი და მე უნდა დავამტკიცო, რომ ის, რაც ილაპარაკა ბნ კელიამ არის სიცრუე და ამაზე შევდეკ მოგახსენებო. (ტაში).

ეთავრობაში მთარობამ მოისმინა რა დეკემბრის 23-ს სხლობაზე იუსტიციის მინისტრის პროექტი კანონისა სასამართლოს ბოქაულების ვილდოს შეცვლის შესახებ, დაადგინა: 1) მიიღოს

კანონპროექტი და გადასცეს დამფუძნებელ კრებას განსახილველად, 2) მიიღოს იუსტიციის მინისტრის წინადადება საბიუჯეტო წლის დამლევს ქუთაისის საოლქო სასამართლოსა, და ქუთაისის საოლქო სასამართლოს ბათუმის განყოფილებისა და საგამომძიებლო ზედამხედველობის დაარსებისათვის და აგრეთვე ბათუმის ოლქის სარაიონო გამომძიებელთათვის საჭირო თანხის გაღების შესახებ.

— მთავრობამ დაადგინა გაანთავისუფლოს მოვალეობის აღსრულებისაგან სამოსამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი მ. ს. კანდელაკი თანახმად მისივე თხოვნისა.

— თანახმად თხოვნისა განთავისუფლებულ იქნა მოვალეობის აღსრულებისაგან ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორი გ. ამირეჯიბი.

— მთავრობამ მოიხილა რა ფინანსთა მინისტრის მოხსენება სახელმწიფო ქარხნისა „შრომისა“-თვის საჭირო კრედიტის გაღების შესახებ, დაადგინა: მიიღოს მოხსენება დან შიანდოს ფინანსთა მინისტრის შეიმუშავოს სათანადო პროექტი აღნიშნულ ქარხნისათვის საჭირო ძირითად თანხის გამოსარკვევად.

— შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენების შემდეგ, რომელიც შეეხებოდა ბათუმის ტელეფონის ქსელის შენახვას, მთავრობამ დაადგინა მიიღოს მოხსენება და გამოთხოვოს დამფუძნებელ კრებას სათანადო კრედიტი.

სს. კალაქის თვითმმართველობა

უკანახეილი დადგენილებანი.

— ი. ხახანაშვილის მოხსენების თანახმად ქალაქის გადასახადთა საჭირო წიგნაკები შეკვეთილი იქნება 1921 წლისათვის და რომ ბოროტ-მოქმედებას აღვილი არა ჰქონდეს, ამიტომ შემოღებულ იქნება ახალი სახლის წიგნაკები სავა დატული იქნება ყოველგვარი ფორმალობა და წიგნაკებისათვის აუცილებელ პირობებს გამოიმუშავებს კონტრაქტორი ერთ შესაფერის ფორმით.

— ცეცხლის მჭობრებელ რაზმის დღესასწაულისათვის „რაზმის დღის“ აღსანიშნავად გამოგზავნა გადასდო 30.000 მანეთი.

— სტატისტიკურ განყოფილების გამგის წინადადებით ქალაქის თვითმმართველობა შინაგან საქმეთა მინისტრის მოწვევით თანახმად ეხლავე შეუდგება საარჩევნო სამხადისს, რისთვისაც მოეწყობა შესაფერისი აპარატი, რომელიც შესრულებს ხსენებულ საქმეს.

— სოციალურ დახმარების განყოფილებასთან დაარსებულ სახალხო კინო-თეატრის საჭიროებისათვის ქალაქის გამგეობამ გადასდო 10.000 მანეთი.

— 1921 წლის 1 იანვრიდან გაუქმებულ იქნება ყოველივე ნორმა სურსათ-სანოვაგებზე განტვირთვების, დაბნევის და განაპარის შესახებ და გამოეცხადებათ საერთო დადგენილების სახით ყველა სასურსათო დუქნების გამგეთ რომ ისინი არიან პასუხის მგებელი საჭიონლის დანაკლისის დროსვე.

ახალი აგებუი

— სახმედრო საქმეთა განჩევ. იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა სახმედრო სამინისტროს, რომ მან განკარგულება გასცეს რათა საგანგებო სახმედრო სასამართლოთა საქმეები აღსასრულებლად გადაეცეს სათანადო საოლქო სასამართლოთა პროკურორებს.

— სახმედრო ტყვეების გაგზავნა. ტფილისში ექვეიდან წითელი ჯვრის საერთაშორისო ბიუროს დელეგატი ჩამოვიდა. დელეგატის მიზანია გაგზავნოს ჩრდილოეთ კავკასიიდან სამშობლოში ავსტრიის და გერმანიის სახმედრო ტყვეები.

— ქართველების ევაკუაცია რუსეთიდან. ტფილისში არსდება ბიურო რუსეთიდან ქართველების ევაკუაციის მოსაწყობად. ბიუროს წესდება უკვე შემუშავებულია და იგი წარდგენილია დასამტკიცებლად. ბიუროს მიზანია: 1) მოსკოვიდან და პეტროგრადიდან ქართველების წამოყვანა პირველი ეშელონის გამოშვების საფუძვლებზე, 2) მგზავრებისათვის შეღავათიან პირობების ბიურომ უნდა იზრუნოს შეუქმნას ეშელონებს საგზავრო შეღავათიანი პირობები, 3) დიკვის ქონებრივი უფლებანი ლტოლვილთა საზღვრებზე გადმოსვლის დროს, 4) ბიურომ უნდა იზრუნოს მიაწოდოს ლტოლვილებს საჭირო საგნები.

— თავდაცვის ფონდი. კვირის 2 იანვარს, თავდაცვის ფონდის ბინაზე დანიშნულია დილის 10 საათზე ფონდის დამხმარე კომიტეტის წარმომადგენლების და თავდაცვის ფონდის პრეზიდიუმისა და ფონდის სექციების წარმომადგენლების შეერთებული კრება, რომელზედაც განხილულ უნდა იქნეს საკითხი თავდაცვის ფონდისა და ფონდის დამხმარე კომიტეტის დამოკიდებულების საკითხი.

— შობის ხეების შექმნა. მიწად-მოქმედების სამინისტროს მოუვიდა ბორჯომიდან შობის ხეები, რომელიც გაიყვანება ქებადის მღაზიაში (რუსთაველის პრ.) პირველ რიგში დაეთმობა სასწავლებლებს, სახმედრო ნაწილებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ სუბსაქველმოქმედო საზოგადოებებს, ბოლოს კი კერძო პირთაც.

— ევროპაში გვითა რეიტების ორგანიზაცია. იტალიის მთავარი სანაოსნო საზოგადოება 1921 წლ. დასაწყისიდან აწყობს პირდაპირ მიმოსვლას ბათუმისა იტალიის, ინგლისის და როტერდამის ნავთსადგურებთან—საქართველოსა და ჩრდილოეთ ევროპის ნავთსადგურების შორის ევროპიურ დამოკიდებულების დამყარების მიზნით. საქართველოსა და ევროპის შორის ივლის 8 გემი, ეს რიცხვი შემდეგ გადიდებულ იქნება 12 გემის.

— გემი „ლიაუტანო“. ესპანეთის საკონსულოს ცნობით ბარსელონიდან ბათუმში წამოსულა გემი „ლიაუტანო“, რომელიც 3000 ტონ სხვა და სხვა საქონლით ყოფილა დატვირთული. ესპანეთის მრეწველებმა გადასწყვიტეს მოაწყონ რეგულიარული სავაჭრო დამოკიდებულება საქართველოსთან. საქართველოდან ესპანეთში და იტალიაში გაიტანენ კაკლის ჭე-ტყეს და სხვა.

ბ ა ნ ე ს ა მ ე ბ ა ნ ი

ქ. ტფილისის 1 უბნის სასამართლოს. ბოქაული გ. გ. ბარუტჩევი ამით აცხადებს, რომ 13 იანვარს 1921 წ. დილის 10 საათზე, საჯაროთ გაიყვანა ვარდაცვლებული ელსიე ოლენოვიჩის მოძრავი ქონება-ერთი კრატი, რომელიც დაფასებულა 12000 მანეთი ქონება გაიყვანა ვავკასიის საგლეზ მიწებიანკის განყოფილების დასაკმაყოფილებლათ. 4539 3-1

დაიკარგა საწვერო წიგნაკი მოცემული საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა ევროპიურ საზოგადოებისაგან № 10354 კონსტანტინე ივანეს ძე კეხელის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4552 3-1

დაიკარგა სახმედრო ბეგრადან თავისუფლების მოწმობა მირზა სარქისის ძე მირზოევის სახელზე, მიღებული სახმედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1920 წ. № 1071. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4545 3-1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტიდან გიორგი აკაკის ძე ოთხმუხურის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4540 3-1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტიდან ბორის აკაკის ძე ოთხმუხურის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4541 3-1

დაიკარგა პასპორტი ასტილი პეტრეს ასული ვერდიანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4543 3-1

დაიკარგა პასპორტი და სხვა საბუღბი სტეფანე ვასილის ძე კალინოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4544 3-1

დაიკარგა ვადიანი მოწმობა (ივლიანე) კესარიონის ძე იმნადის სახელზე, მიღებული ლანჩხუთის ქალაქის მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4546 3-1

მინდობილობა მიცემული ნინო ვასილის ასული ყაზახაშვილის მიერ ლავროს კაპიტონის ძე ჩიკვაძის სახელზე, შედგენილი თელავის მოპრიებელ მოსამართლესთან 1920 წ. № 761 გაუქმებულია. 4547 1-1

დაიკარგა სახმედრო ნუსხა ბათლომე პაიკაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4550 1-1

დაიკარგა სახმედრო ბეგრადან თავისუფლების მოწმობა № 1063 ბარნაბა იოსების ძე სტეკრუას სახელზე, მიღებული ქუთაისის სახმედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4546 3-1

დაიკარგა ხონის სასურთოერთო ნდობის საზოგადოების მიერ მოცემული ფულის მიბარების ბილეთი № 1724 ათი ათასი მანეთის კონსტანტინე ეგნატეს ძე ბაქაძის სახელზე, რომელიც იყო გადმოცემული ნოტარიალური წესით ივანე გიორგის სულამბერიძეზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4549 1-1

დაიკარგა მოწმობა ვლადიმერ ნედლეის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტექნიკუმიდან 1919/20 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4551 3-1

დაიკარგა სახმედრო აღნუსხვის (ოფიცრის) ნუსხა გრიგოლ სამოსის ძე ხუნდაძის სახელზე, მიღებული ქუთ. სახმედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4552 3-1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული სუფსის თემის გამგეობიდან და შავი ქირის საწინააღმდეგო აცრის მოწმობა ილარიონ სპაბიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4553 1-1

დაიკარგა ოზურგეთის სამოქალაქო სკოლის სამი კლასის დამთავრების მოწმობა № 82. ქსენია არჯევანის ასულის კვერდელიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4436 3-3

დაიკარგა მოწმობა ნიკიტა ალექსანდრეს ძე ისააკიანის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4429 3-3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ქ. განჯის საპოლიციო სამმართველოდან. ნაგაპეტ ასარის ძე კაპრიელიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4438 3-3

დაიკარგა სახმედრო ბეგრადან თავისუფლების მოწმობა № 539, მიღებული ტფილ. ქალაქის გამგეობის სახმედრო აღრიცხვის განყოფილებისაგან არშაკ ალექსანდრეს ძე სლოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4434 3-3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ავეტიქ აკობის ძე ტერ-აკოფოვის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1899 წ. ივნისის 28-ს რეესტრით № 1460. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4519 3-2

დაიკარგა საბინაო დავთარხ ვაქეზე მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ტრიფონ პავლეს ძე გიგინეიშვილს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4521 3-2

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული მატრიკული სტ. ნიკოლოზ შუბლაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4526 3-2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 66 ლეიტენანტი ბახტაძის სახელზე, მიღებული განსაკუთრებული სავტომობილო გუნდის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4527 3-2

დაიკარგა პირადობის მოწმობა ლევან აივაზიანის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტექნიკუმიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4529 3-2

დაიკარგა პასპორტი მიღებული სოფ. შქმერის კომსარისაგან, მიხეილ ვასილის ძე მიუსურაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4510 3-2

დაიკარგა პასპორტი გრიგოლ ლეონტის ძის პრესმანის სახელზე, მიღებული კავკასიის პოლიციიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4520 3-2

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული მატრიკული № 3071 სტ. ქალის თამარ დონჯაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4531 3-2

დაიკარგა სახმედრო ბეგრადან თავისუფლების ნუსხა კალისტრატე მიქის ძე ხუსკივიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3-3

დაიკარგა პასპორტი № 7797 მარია ქლიქის ასული არაქელიანის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტექნიკის სამმართველოდან 1914 წ. და ნავთის ბარათი. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4513 3-2

დაიკარგა მოწმობა № 1318 უმცროსი მილიციონერი ნიკოლოზ ალექსის ძე იაკოვლევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4515 3-2

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ბოქაულის საზოგადოებიდან (რაქა), მესამე კლასის მოწმობა, მიღებული ქრებალოს უბოლეს პირველ დაწყებით სასწავლებლიდან და მეტრიკა—შალვა ლავრენტის ძე წერეთლის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4418 3-3

დაიკარგა პასპორტი სედრაკ გასპარის ძე გასპარაიანის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4425 3-3

სახმედრო სასამართლოს თანახმად 1920 წ. 17 ნოემბრის გამწვესრიგებელ სხდომის დადგენილებისა ეძებს ყოფილ მე-2 ქვეითა რაზმის ჯარისკაცს მცხოვრებ ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის, სოფ. ჯორჯუთის ვლადიმერ ივანის ძე ბურძგალავას 23 წლიანს, რომელსაც დროებითი სახმედრო სასამართლოს ქ. სოხუმში 1919 წ. 11 აპრილის სხდომის დადგენილებით მისჯილი აქვს დაპატიმრება ექვსი კვირით პურზედ და წყალხედ.

ყველა ვინც იცის სად იმყოფება აღნიშნული ბურძგალავა ვალებულია განუცხადოს სახმედრო სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქუჩაზე № 32. 1043 3-3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი სალბი პეტროსიანის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 4423 3-3

დაიკარგა სახმედრო სასახლის ნუსხა მიღებული ტფ. მაზრის სახმედრო უფროსის სამმართველოდან და პირადობის მოწმობა № 2405. მიღებული ბათუმის საკონსულოდან იაკოვ კარპეზის ძე ლლონტის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4507 3-2

დაიკარგა რევოლვერის „სმიტა ვისონის“ ტარების ნებართვა № 26189. მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან ერასტი დავითის ძე გვათუს სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4508 3-2

დაიკარგა უფადო პასპორტი № 3167 მიღებული ტფ. პოლიტექნიკის სამმართველოდან. აბას კული ალა ჯაფაროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4509 3-2

დაიკარგა მე-12 უბ. ელისაბედის ქ. მდებარე სახლის დავთარი, რომელიც ეკუთვნის ხარლამპი გიორგის ძე საბურს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4497 3-2

დაიკარგა ქუთაისის სამეურნეო სკოლის დამთავრების მოწმობა აპოლონ ილარიონის ძე ლუხუტაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4499 3-2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან სერაპიონ ადამის ძე დავითოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4501 3-2

დაიკარგა მარტყოფის ქ. № 24 მდებარე სახლის დავთარი, რომელიც ეკუთვნის ივანე მეტრეს ძე ბითაძეს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4502 3-2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ახალქალაქის თემიდან გიორგი ალექსის ძე ხუდუაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4505 3-2

დაიკარგა ნუსხა მიღებული ტფ. სახმედრო უფროსის სამმართველოდან. ბესარიონ პეტრეს ძე კიტუანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4506 3-2

დაიკარგა პასპორტი ლეონ გერასიმეს ძე ტერ-აკოპოვის სახელზე, მიღებული ბათუმში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4485 3-2